

შპს „ზუკა-2010“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2023 წელი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
ფულადი ნაკადის ანგარიში.....	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. მომზადების საფუძვლები.....	5
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	6
4.1 ამონაგების აღიარება.....	6
4.2 ფინანსური ინსტრუმენტები.....	8
4.3 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება.....	9
4.4 ძირითადი საშუალებები	9
4.5 არამატერიალური აქტივები	10
4.6 მარაგი	10
4.7 იჯარა	10
4.8 საინვესტიციო ქონება	11
4.9 აქტივების გაუფასურება.....	11
4.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები.....	12
4.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	12
5. გადასახადები.....	12
5.1 მოგების გადასახადი	12
5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი.....	13
5.3 საშემოსავლო გადასახადი.....	14
6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.....	14
6.1 ანარიცხები.....	14
6.2 პირობითი ვალდებულებები	14
6.3 პირობითი აქტივი	15
7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.	15
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:.....	15
8.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	19
9.საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21
10.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	21

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	<u>31/12/2022</u>	<u>31.12.2021</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9	813,765	650,556
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,300	60,510
გადახდილი ავანსები		444	2,900
მარაგები	11	30,477	283,313
სხვა მიმდინარე აქტივები	12	12,825	39,791
სულ მიმდინარე აქტივები		859,811	1,037,070
ძირითადი საშუალებები	8	140,964	83,547
სულ გრძელვადიანი აქტივები		140,964	83,547
სულ აქტივები		1,000,774	1,120,618
სავაჭრო ვალდებულებები		3,057	2,682
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები			-
საგადასახადო ვალდებულებები	13	43,625	19,360
მიღებული ავანსები		25,000	170,000
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		71,682	192,042
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი		928,575	514,008
განაწილებული დივიდენდი		(334,562)	(409,419)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		335,079	823,986
სულ საკუთარი კაპიტალი		929,092	928,575
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,000,774	1,120,618

დირექტორი

გრიგოლ ჩიქოვანი

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	<u>31/12/2022</u>	<u>31.12.2021</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9	813,765	650,556
სავაჭრო მოთხოვნები	10	2,300	60,510
გადახდილი ავანსები		444	2,900
მარაგები	11	30,477	283,313
სხვა მიმდინარე აქტივები	12	12,825	39,791
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>859,811</u>	<u>1,037,070</u>
ძირითადი საშუალებები	8	140,964	83,547
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>140,964</u>	<u>83,547</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>1,000,774</u>	<u>1,120,618</u>
სავაჭრო ვალდებულებები		3,057	2,682
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები			-
საგადასახადო ვალდებულებები	13	43,625	19,360
მიღებული ავანსები		25,000	170,000
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>71,682</u>	<u>192,042</u>
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი		928,575	514,008
განაწილებული დივიდენდი		(334,562)	(409,419)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		335,079	823,986
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>929,092</u>	<u>928,575</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>1,000,774</u>	<u>1,120,618</u>

დირექტორი
გრიგოლ ჩიქოვანი



დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	7	3,670,247	4,480,618
სხვა შემოსავალი	7.1	2,725	3,975
თვითღირებულების ხარჯი	7.2	2,844,457	3,279,295
ადმინისტრაციის ხელფასები და გასამრჯელოები	7.3	284,506	225,936
ცვეთა და ამორტიზაცია		22,760	17,770
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.4	77,051	48,148
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი/ზარალი		50,079	17,119
მოგება დაბეგვრამდე		394,119	896,326
მოგების გადასახადის ხარჯი	7.5	59,040	72,340
მიმდინარე წლის მოგება		335,079	823,986
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		928,575	514,008
დივიდენდი		(334,562)	(409,419)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		929,092	928,575

დირექტორი

გრიგოლ ჩიქოვანი

შენიშვნა: „კომპანია“ წარადგენს სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთ ანგარიშგებას, ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგება ან ზარალის და დივიდენდის გაცემამ განაპირობა.

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	7	3,670,247	4,480,618
სხვა შემოსავალი	7.1	2,725	3,975
თვითღირებულების ხარჯი	7.2	2,844,457	3,279,295
ადმინისტრაციის ხელფასები და გასამრჯელოები	7.3	284,506	225,936
ცვეთა და ამორტიზაცია		22,760	17,770
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.4	77,051	48,148
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი/ზარალი		50,079	17,119
მოგება დაბეგვრამდე		394,119	896,326
მოგების გადასახადის ხარჯი	7.5	59,040	72,340
მიმდინარე წლის მოგება		335,079	823,986
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		928,575	514,008
დივიდენდი		(334,562)	(409,419)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		929,092	928,575

დირექტორი
გრიგოლ ჩიქოვანი



შენიშვნა: „კომპანია“ წარადგენს სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთ ანგარიშგებას, ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგება ან ზარალის და დივიდენდის გაცემამ განაპირობა.

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

ფულადი ნაკადის ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4,188,166	4,786,682
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,888,044)	(3,294,588)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(306,405)	(206,570)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(380,544)	(556,054)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(4,542)	(6,279)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>608,631</u>	<u>723,191</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(99,253)	(13,559)
გაცემული/დაბრუნებული სესხი	-	(12,000)
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(99,253)</u>	<u>(25,559)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(314,111)	(381,503)
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(314,111)</u>	<u>(381,503)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(32,058)	(2,113)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	163,209	314,017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	650,556	336,539
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</u>	<u>813,765</u>	<u>650,556</u>

დირექტორი
გრიგოლ ჩიქოვანი

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

ფულადი ნაკადის ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4,188,166	4,786,682
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,888,044)	(3,294,588)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(306,405)	(206,570)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(380,544)	(556,054)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(4,542)	(6,279)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>608,631</u>	<u>723,191</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შეიღობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(99,253)	(13,559)
გაცემული/დაბრუნებული სესხი	-	(12,000)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(99,253)</u>	<u>(25,559)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(314,111)	(381,503)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(314,111)</u>	<u>(381,503)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(32,058)	(2,113)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	163,209	314,017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	650,556	336,539
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>813,765</u>	<u>650,556</u>

დირექტორი
გრიგოლ ჩიქოვანი



დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 26.09.2023.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ზუკა-2010 (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქობულეთის ქ., N 10, ბ. 4.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სამშენებლო სამუშაოები და სატრანსპორტო მომსახურება.

შპს ზუკა-2010 რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2018 წლის 20 დეკემბერს. „კომპანიის“ დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი დაფუძნებიდან დღემდე არის გრიგოლ ჩიქოვანი (პ. ნ. 01008003477).

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 26.09.2023.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. „კომპანიას“ აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმოდ. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მომგებიანია, ასევე „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს

მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

- ა) „კომპანია“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
- ბ) 2022 წელს „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
- ც) 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 ამონაგების აღიარება

„კომპანიისთვის“ ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს სამშენებლო ხელშეკრულებებიდან. ასევე კომპანიას საკუთრებაში აქვს სატრანსპორტო საშუალება MAN 33 464 თავისივე მისაბმელით და შემოსავალს იღებს სატრანსპორტო მომსახურებიდან.

„კომპანია“ მომსახურების გაწევიდან და სამშენებლო ხელშეკრულებიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. (პროცენტული შესრულების მეთოდი), ამონაგების და დანახარჯების შეფასება ხდება სამშენებლო ხელშეკრულებების სამუშაოების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

„კომპანია“ მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

„კომპანია“ აქტივად აღიარებს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორიცაა, მაგალითად მასალებზე დანახარჯი, ან გადახდილი ავანსი, თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული დანახარჯი მთლიანად ანაზღაურდება.

. „კომპანია“ მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებს ნებისმიერი დანახარჯს, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი არ არის.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

ა) „კომპანია“ აღიარებს მხოლოდ ამონაგების იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

ბ) სახელშეკრულებო დანახარჯებს ხარჯად აღიარებს იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

„კომპანია“ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები აჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელ ზარალის თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს ხარჯად და ქმნის შესაბამის ანარიცხს.

„კომპანიას“ უკვე აღიარებულ და არ გადახდილ სახელშეკრულებო ამონაგები აღიარებს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირებას.

„კომპანია“ დამოუკიდებელ, ცალკე აღებულ სამშენებლო ხელშეკრულებად განიხილავს, თუ:

ა) თითოეული აქტივის მშენებლობისთვის ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი პროექტები;

ბ) შესაძლებელია თითოეული აქტივის ცალკე ჩაბარება დამკვეთისათვის და „კომპანიას“ და დამკვეთს შეუძლიათ შეთანხმდნენ, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც ცალკეულ აქტივს ეხება; და

გ) შესაძლებელია, თითოეული აქტივისათვის ცალკე განისაზღვროს დანახარჯები და ამონაგები.

და „კომპანია“ ხელშეკრულებას მიიჩნევს ერთ სამშენებლო ხელშეკრულებად, თუ:

ა) ხელშეკრულებების ჯგუფი დადებული იყო, როგორც ერთი/ ერთიანი პაკეტი;

ბ) ხელშეკრულებები ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ, ფაქტობრივად, ერთი პროექტის ნაწილებია, საერთო მოგების მარჟით; და

გ) ხელშეკრულებები სრულდება ერთდროულად, ან უწყვეტი თანმიმდევრობით.

4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სასესხო მოთხოვნების/ვალდებულებების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას „კომპანია“ პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში „კომპანია“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას კომპანია აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

„კომპანია“ ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

ა) ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ბ) დებიტორის ფინანსურ სიმძნელებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

გ) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

4.3 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „კომპანია“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10-12
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სამშენებლო ობიექტებზე განთავსებული მოწყობილობები	3-5
მანქანა-დანადგარები	5

თუ არსებობს ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს.

4.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

4.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში „კომპანიის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4.8 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „კომპანია“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „კომპანია“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „კომპანია“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „კომპანია“ ამ აქტივს აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ „კომპანია“ ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

4.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სხვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „კომპანიის“ მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. გადასახადები

5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების

თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღირიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

5.3 საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

6.1 ანარიცხები

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„კომპანია“ ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

6.2 პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

6.3 პირობითი აქტივი

„კომპანია“ არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ექვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

შენიშვნა 7

ამონაგები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
შემოსავალი სამშენებლო		
ხელშეკრულებებიდან	3649728	4 434 089
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		636
შემოსავალი ტექნიკით მომსახურებიდან	20519	45 894
ჯამი	<u>3 670 247</u>	<u>4 480 618</u>

შენიშვნა 7.1

სხვა შემოსავალი

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
საპროცენტო შემოსავლები	2725	3 975
ჯამი	<u>2 725</u>	<u>3 975</u>

შენიშვნა 7.2

თვითღირებულების ხარჯი

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
<u>მშენებლობის თვითღირებულება:</u>	2,809,232	3,233,966
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	1,947,138	2,301,374
დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა	7,596	15,253
ტექნიკით მომსახურება	276,558	153,854
ხიმინჯების მოწყობა	-	-
ფოტის ობიექტის კომუნალურები	2,876	3,352
ფოტის ფართის იჯარა	12,000	15,063
ტრანსპორტირების მომსახურება	1,567	186
გეოდეზისტის მომსახურება	300	2,349
ფუნდამენტის მოწყობა	-	-
ბეტონისაფარის მოწყობა	194,676	168,285
მიწის გატანა	64,350	17,665
ოფისის ხარჯი	5,315	4,174
ტექნიკის რემონტის ხარჯი	71,606	69,220
ტექნიკის იჯარის ხარჯი	101,695	101,695
სხვა ხარჯი	5,107	4,336
ღებვის მომსახურება	-	50,240
ღებვის სამუშაოები	-	68,878
შედულების და მონტაჟის სამუშაოები	-	12,500
პროფილირებული ფურცლებით გადახურვა	-	54,229
ობიექტზე მომუშავე მუშების შრომის ანაზღაურება	118,447	191,314
<u>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</u>	-	694
ტექნიკით მომსახურების თვითღირებულება	35,225	44,635
<u>ჯამი</u>	<u>2,844,457</u>	<u>3,279,295</u>

შენიშვნა 7.3

ადმინისტრაციის ხელფასები და გასამრჯელოები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	236,151	180,349
თანამშრომლების სარგებელი	48,355	45,588
<u>ჯამი</u>	<u>284,506</u>	<u>225,936</u>

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემენილ მომსახურებას და სხვა საოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

შენიშვნა 7.4

სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ბანკის საკომისიო	1,174	1,369
საკონსულტაციო მომსახურება	31,042	35,000
საკანცელარიო ხარჯი	9	80
კომუნიკაციის ხარჯები		
სხვა ხარჯი	2,057	2,946
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,675	1,585
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	32,058	2,113
მივლინება	1,972	4,023
სხვა საოპერაციო ხარჯები		1,032
საპატრულო ჯარიმა	216	
დანაკლისი	6,848	
ჯამი	<u>77,051</u>	<u>48,148</u>

შენიშვნა 7.5

მოგების გადასახადის ხარჯის მუხლში ასახულია პერიოდში განაწილებულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი .

შენიშვნა 14

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და გადახდილი თანხები 2020 წლების პერიოდზე (თანხები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით).

	პროექტი 1	პროექტი 4	პროექტი 5	პროექტი 6	პროექტი 7	პროექტი 8	პროექტი 9	პროექტი 10
სახელშეკრულებო თანხა	4,140,899	561,939	495,610	321,134	1,068,483	1,179,890	185,541	1,003,792
შესრულებული სამუშაო	3,483,359	561,939	411,512	286,509	963,677	1,128,862	92,135	
გაწეული ხარჯი	2,223,277	358,661	262,651	182,866	615,073	720,504	58,806	
მიღებული თანხები	3,483,359	561,939	411,512	286,509	963,677	1,128,862	97,135	650,000
ასათვისებელი ავანსი	-						5,000	650,000
დასრულების სტადია	84%	100%	83%	89%	100%	100%	50%	0%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და გადახდილი თანხები 2021 წლების პერიოდზე (თანხები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით).

	პროექტი 1	პროექტი 5	პროექტი 6	პროექტი 9	პროექტი 10	პროექტი 11	პროექტი 12	პროექტი 13	პროექტი 14
სახელშეკრულებო თანხა	4,140,899	495,610	321,134	185,541	1,003,792	521,876	311,306	146,982	122,937
საბოლოო მიღება									
ჩაბარების აქტით თანხა		495,610	321,134	185,541	996,981	385,100	311,306	146,982	125,949
შესრულებული სამუშაო	3,483,359	495,610	321,023	185,541	996,981	385,100	311,306	146,982	125,949
გაწეული ხარჯი	2,223,277	266,331	191,806	70,594	652,830	158,160	170,960	77,405	99,096
მიღებული თანხები	3,483,359	495,610	321,023	185,541	996,981	385,100	311,306	146,982	125,949
ასათვისებელი ავანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-
დასრულების სტადია	84%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

	პროექტი 15	პროექტი 16	პროექტი 17	პროექტი 18	პროექტი 19	პროექტი 20	პროექტი 21	პროექტი 22	პროექტი 23
სახელშეკრულებო თანხა	84,104	348,359	146,447	72,118	1,628,620	1,007,080	22,133	20,336	1,184,872
საბოლოო მიღება									
ჩაბარების აქტით თანხა	84,104	320,433	141,695	53,567	1,491,248	797,353	22,133	20,336	
შესრულებული სამუშაო	84,104	320,433	141,695	53,567	1,491,248	797,353	22,133	20,336	123,019
გაწეული ხარჯი	58,030	218,833	76,581	17,735	923,943	497,642	863	793	27,443
მიღებული თანხები	84,104	320,433	141,695	53,567	1,491,248	797,353	22,133	20,336	123,019
ასათვისებელი ავანსი	-	-	-	-	-	-	-	-	170,000
დასრულების სტადია	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	10%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და გადახდილი თანხები 2022 წლების პერიოდზე (თანხები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით).

	პროექტი 23	პროექტი 24	პროექტი 25	პროექტი 26	პროექტი 27	პროექტი 28	პროექტი 29
სახელშეკრულებო თანხა	1,184,872	71,485	2,678,375	430,794	501,963	98,890	174,550
საბოლოო მიღება ჩაბარების აქტით თანხა	848,030	71,485	2,312,653	426,258	481,097	98,890	82,467
შესრულებული სამუშაო	848,030	71,485	2,312,653	426,258	481,097	98,890	82,467
გაწეული ხარჯი	518,015	8,980	1,629,979	119,426	282,269	90,366	51,540
მიღებული თანხები	848,030	71,485	2,312,653	426,258	481,097	98,890	82,467
ასათვისებელი ავანსი							25,000
დასრულების სტადია	100%	100%	100%	100%	100%	100%	47%

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 8 ძირითადი საშუალების მოძრაობის ანგარიში

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო ობიექტზე განთავსებული მოწყობილობები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 250	3 212	11 622	43 050	16 693	89 827
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	-	3 220	8 270	-	-	11 491
დარიცხული ცვეთა	3 681	1 140	3 686	4 502	4 760	17 770
გასული	-	-	-	-	-	-
ნარჩენი ღირებულება	11 569	5 292	16 206	38 547	11 933	83 547
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 569	5 292	16 206	38 547	11 933	83 547
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	303		3 432	80 378		84 113
დარიცხული ცვეთა	3 696	1 478	4 934	8 410	4 242	22 760
გასული			3936			3 936
ნარჩენი ღირებულება	8 175	3 815	10 768	110 516	7 691	140 964
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8 175	3 815	10 768	110 516	7 691	140 964

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში.

შენიშვნა 9

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ფული საბანკო ანგარიშებზე	813765	650 556
<u>ჯამი</u>	<u>813 765</u>	<u>650 556</u>

შენიშვნა 10

სავაჭრო მოთხოვნები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2300	19 990
გაცემული სესხი		40 520
<u>ჯამი</u>	<u>2300</u>	<u>60 510</u>

შენიშვნა 11

მარაგები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	30477	283313
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	0	-
<u>ჯამი</u>	<u>30,477</u>	<u>283,313</u>

შენიშვნა 12

სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ	3813,56	25 932
წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი	866	866
წინასწარ გადახდილი საპენსიო თანხა	0	181
მისაღები პროცენტები	0	6 835
წინასწარ გადახდილი ხელფასის ხარჯი	8145,75	5 977
<u>ჯამი</u>	<u>12 825</u>	<u>39 791</u>

შენიშვნა 13

საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ქონების გადასახადი	1,123	867
აღიარებულ საგადასახადო დავალიანება	42,503	18,493
ჯამი	<u>43,625</u>	<u>19,360</u>

საგადასახადო ვალდებულებებში არსებული დავალიანება გამოწვეულია იმ გარემოებიდან, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე მისი გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

9. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 26.09.2023.

დირექტორი:

გრიგოლ ჩიქოვანი

შენიშვნა 13

საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ქონების გადასახადი	1,123	867
ალიარებული საგადასახადო დავალიანება	42,503	18,493
<u>ჯამი</u>	<u>43,625</u>	<u>19,360</u>

საგადასახადო ვალდებულებებში არსებული დავალიანება გამოწვეულია იმ გარემოებიდან, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე მისი გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

9. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 26.09.2023.

დირექტორი:

გრიგოლ ჩიქოვანი

